



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

Federal Department of Foreign Affairs FDFA

**LABAZA**

Ազգային  
Կարգնօտութեան  
Kənd Su  
Tərəfdaşlıq

**ԵՍՈՒՆԻՑ ԱՎԱՐՏԵՄԵՋՈՒՅՈ ՍԱԿՈՒՐԵԱՇՈ  
ԹԻՐԱՆԵ-ՍԱՍԱՂՋՎՐՈ ԴԱԵԱԹԱՐՊԱԾՈՒՅՈ  
ՋԱԼՐՋԱՎԵՋԱ ԸՆ ԱՇԳՈՋՄԱՆՈՅՈ ԹՈՍԱԵԼԵԱՐՋՈՒՅՈ  
ՑԱՍԱՔԸՆԵԱԲՐՋԱՎԵՋՈՒՅՈ ՋԱՔԸՆԵՐԵՋԱ  
ԱՌԵՎԵԿՆՈ ԱՌՋԱԾԱՋԵՋՈՒՅՈ ՋԱԾԱԺՐՈՍԵՏՅՈՒՅՈ**



լոձանքա – Բյուլուս Սասողլու პահტնոորոծուս օնօցուրցեա

\* \* \*

“Ցանկաւութեան պահպանամա  
”ցանկաւութեան պահպանամա և պահպանամա կազմակերպութեան”



პუბლიკაცია გამოიცა შვეიცარიის ფედერალური საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ფინანსური მსარდაჭერით ბერნის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით პროექტის „გარემო და უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში—ბუნებრივი რესურსების მდგრადი მენეჯმენტი აქცენტირებული წყლის რესურსების მდგრად მართვაზე“ ფარგლებში.

**გამოცემაზე მუშაობდნენ:** რუსუდან სიმონიძე  
გიორგი მალრაძე  
ლელა ყაჭეიშვილი

**დიზაინი:** ირაკლი გულედანი

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია  
საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, მასში გამოთქმული  
მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული  
დონორთა მოსაზრებებად

**ცყლის უსაფრთხოების საკითხებზე  
ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის გაღრმავება  
და ადგილობრივი მოსახლეობის  
შესაძლებლობების გაძლიერება  
არსებული პრობლემების გადაჭრისათვის**

**ლაბაზა – წყლის სასოფლო პარტნიორობის ინიცირება**

**შვეიცარიული პროგრამა „გარემო და უსაფრთხოება  
სამსრეთ კავკასიაში“**

## შესავალი

წყლის რესურსების დაბინძურების შემცირება ერთ-ერთ სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს. მთელ რიგ სოფლებში მდინარეები და ღელეები გადაქცეულია ნაგავსაყრელად. მცირე მდინარეებისა და ღელეების ნაპირები ანტისანიტარიის წყაროს წარმოადგენენ და სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას.

წყლის ნაპირებზე ანტისანიტარია და თავად წყლის დაბინძურება მრავალი საშიში დაავადების გამომწვევია. ტრანსსასაზღვრო მდინარე ალაზანი მინგეჩაურის წყალსაცავში ჩასვლამდე ბინძურდება ფეკალური მასებით, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ანარჩენებითა და შხამქიმიკატებით როგორც საქართველოს ტერიტორიიდან, ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან.

ზედაპირული წყალი მოიხმარება მოსარწყავად, საქონლის დასარწყულებლად, სათევზაოდ, საბანაოდ და ა.შ. ამდენად, დაბინძურებული წყლისგან მიყენებული ზიანი საკმაოდ მაღალ რისკებს შეიცავს და ხშირ შემთხვევაში შეიძლება ლეტალური შედეგიც გამოიწვიოს.

# სოფლები გურგენიანი და ხიზაბავრია

## ტერიტორიის გეოცოლოგიური თავისებურებანი

სოფლები გურგენიანი და ხიზაბავრა მდებარეობს ლაგოდე-  
ხის რაიონში, ქალაქ ლაგოდეხიდან 8-9 კილომეტრის მანძილზე,  
მდინარე ნინოსხევის მიერ გამომუშავებულ მარჯვენა ტერასაზე,  
კახეთის კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების გან-  
შტორებებს შორის, ზღვის დონიდან 450 - 500 მეტრ სიმაღლეზე.

ტერიტორიის რელიეფი წარმოადგენს აკუმულაციურ ვაკეს,  
რომელსაც უმნიშვნელო დახრილობა ახასიათებს. რაიონი სეის-  
მურად ნაკლებად აქტიურია და მიეკუთვნება საშუალოზე დაბ-  
ალი (4-6) მაგნიტუდის მქონე მიწისძვრათა ჯგუფის (უკანასკნე-  
ლი მიწისძვრა აღინიშნა 2012 წელს, 5.2 მაგნიტუდით) ტერიტო-  
რიას. ხიზაბავრა – გურგენიანის ვაკე გეოლოგიურად ძირითა-  
დად აგებულია მეოთხეული ნალექებით – ალვიური ნაფენებით,  
რიყნარი ქვიშებით და თიხებით, ხოლო მისი მიდამოები – ქვი-  
შაქვებით და კონგლომერატებით, რაც მიწისქვეშა წყლების  
ფორმირებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

კლიმატურად ხიზაბავრა-გურგენიანის ვაკე წარმოდგენილია  
ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში და ხასიათდე-  
ბა ზომიერად ცივი ზამთრით და ზომიერად ცხელი ზაფხულით.  
მზის ნათების ხანგრძლივობა შეადგენს 2300 – 2400 საათს წე-  
ლიწადში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და მზის (ალ-  
ტერნატიული) ენერგიის გამოყენების საშუალებას იძლევა. იან-  
ვრში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 0+10°-ის ფარგლებში მე-  
რყეობს, ხოლო ივლისის +23+24°-ის. ტერიტორიახასიათდება  
აღმოსავლეთ საქართველოში უყინვო პერიოდის მაქსიმალური  
(საშუალოდ, წლიურის 2/3) ხანგრძლივობით. ნალექების რაო-  
დენობა ალწევს 1000 მილიმეტრს, რის გამოც კომფორტულია  
დანესტიანების კოეფიციენტი და რაც სოფლის მეურნეობის  
(მემცენარეობის) განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმ-  
ნის. ატმოსფერული ნალექების განაწილება და რაოდენობა  
ზაფხულის თვეებში პრაქტიკულად გამორიცხავს გვალვიან პე-  
რიოდს. სიმაღლის მატებასთან ერთად ნალექების რაოდენობა  
და თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი მკვეთრად მატულობს,  
რაც დადებითად აისახება წყლის რესურსების ფორმირებაზე.

სიზაბავრა-გურგენიანის ვაკე მიუკუთვნება ალაზნის არტე-ზიულ აუზს, რომელიც ხასიათდება ცირკულაციის ფორმავანი ტიპით, წყალუხვობით და სუსტი მინერალიზაციით. გრუნტის წყლები სოფლების მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია. მდი-ნარეთა საშუალო წლიური ჩამონადენი შეადგენს 10-20 ლ/წმ 1კმ<sup>2</sup>-დან, თუმცა იგივე მაჩვენებელი მიმდებარე საშუალო და მაღალ მთებში 3-ჯერ იზრდება. მინიმალური ჩამონადენი და-მახასიათებელია ზაფხულისთვის.

## სოფელი ქვემო გურგანიანი

სოფლის მოსახლეობა მცირდება. არადა, 1989 წლის აღწე-რის მიხედვით სოფელში 927 მცხოვრები იყო, 2002 წელს – 1089, ხოლო ამჟამად - 554 მცხოვრები. აქ ოფიციალურად 241 კომლი აღირიცხება. მოსახლეობის 17% მიუკუთვნება დაბერე-ბულთა (65 წელზე მეტი ასაკის) რიცხვს, ამდენივე კი 18 წლამდე ასაკისაა, რაც უარყოფით დემოგრაფიულ მაჩვენებლად ითვლე-ბა. მაღალია სეზონური დინამიკის მაჩვენებლებიც. ზამთრობით სოფელში რამდენიმე ათეული მოსახლე რჩება.

## სოფელი ხიზაბავრი

სოფლის მოსახლეობა მუდმივად მცირდება. შემცირების დინამიკა თვალსაჩინოა მოსახლეობის ოფიციალური აღწერების მიხედვითაც. მაგალითად, 1989 წლის აღწერის მიხედვით სო-ფელში 989 მცხოვრები იყო, 2002 წელს – 146, ხოლო ამჟამად 166 მცხოვრები. აქ ოფიციალურად 96 კომლი აღირიცხება. მოსახლეობის თითქმის 22% მიუკუთვნება დაბერებულთა (65 წელზე მეტი ასაკის) რიცხვს, ამდენივე (37 მცხოვრები) კი 18 წლამდე ასაკისაა, რაც უარყოფით დემოგრაფიულ მაჩვენებლად ითვლება. მაღალია სეზონური დინამიკის მაჩვენებლებიც. ზამ-თრობით სოფელში რამდენიმე ათეული მოსახლე რჩება.

## თანამორგილეობარივი მიდგომა - ქვემო გურგანისა და ხრანგავრას მოსახლეობის ჩართვა მიმღებისა და საჭიროებები



მოსახლეობასთან ურთიერთობისა და მათი გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისათვის, პროექტის განმახორციელებელმა ჯგუფმა მიმართა თემის მობილიზაციის კარგად აპრობირებულ მეთოდს, რომელიც ითვალისწინებს თემთან მჭიდრო ურთიერთობისა და ადგილობრივი ქმედებების

განხორციელების გზით, თემის წევრთა უშუალო მონაწილეობით, პრობლემათა იდენტიფიცირებას, მათ კლასიფიკაციას, პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთასა და კონკრეტული პრობლემის დასაძლევად ერთობლივი ღონისძიების დასახვას.

მეთოდი, თემის თითოეულ წევრს, შესაძლებლობას აძლევს გამოხატოს საკუთარი აზრი და დააფიქსიროს მისი დამოკიდებულება კონკრეტული პრობლემის მიმართ, საღად გაანალიზოს არსებული სიტუაცია, ჩაერთოს ცივილიზებულ დიალოგში და თავიდან აიცილოს კონფლიქტი. აღნიშნული მეთოდის განხორციელების შედეგად თემი, როგორც ერთი ორგანიზმი, განიხილავს ერთ, ან ერთზე მეტ პრობლემას როგორც საერთოს, ითავისებს პრობლემის როგორც ინდივიდუალურ, ისე საერთო ხასიათს და მიღწეული მობილიზაციით ცდილობს დასახოს პრობლემის დაძლევის მარტივი და ეფექტური გზები. დიალოგის მონაწილე თითოეული პირი, ითავისებს რა თავის ჰასუხისმგებლობას, ობიექტურად აფასებს საკუთარ თანამონაწილეობას კონკრეტული პრობლემის დაძლევის საკითხთან მიმართებაში.

უფრო კონკრეტულად, პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობდნენ სოფლების მაცხოვრებლები:

- გამოკითხვა საყოფაცხოვრებო და სასმელ წყალთან დაკავშირებულ პრობლემებზე; ადგილობრივი გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემების გამოკვეთა და მათი მოგვარების გზების დასახვა;
- ადგილობრივი საოქმო ჯგუფების (ე.წ. წყლის მოსარგებლეთა ასოციაციების, ან ეკო-კომიტეტების) ჩამოყალიბება;

- გამოცდილების გაზიარება ქართულ და აზერბაიჯანულ საზღვრისპირა სოფლების ეკო-კომიტეტებს ან/და ადგილობრივი ჯგუფებს შორის;
- მცირე პროექტების მომზადება და განხორციელება.

კონკრეტულად კი სხვადასხვა დროს განხორციელდა შეხვედრები, გაიმართა დიალოგები, სოციოლოგიური კვლევა და ჩატარდა ცნობიერების ასამაღლებელი სასწავლო-საგანმანათლებლო სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სოფლის მოსახლეობის აქტიურმა და დაინტერესებულმა ნაწილმა, მათ შორის სოფლის სხვადასხვა ასაკისა და ეთნიკური წარმოშობის პირებმა და პარტნიორი ორგანიზაციის (საერთაშორისო პიდროლოგიური პროგრამა) წარმომადგენლებმა აზერბაიჯანიდან.

## **გამოაითხვა საყოფაცხოვრებელი და სასხლე ფულთან აუკავშირებულ პრობლემებზე**

სოფელ ქვემო გურგენიანსა და ხიზაბავრაში ჩატარდა გამოკითხვა საყოფაცხოვრებო და სასმელ წყალთან დაკავშირებულ პრობლემებზე, შემოწმებულ იქნა წყლის სათავე ნაგებობა და სოფლების ტერიტორიაზე გამავალი მიღსადენი.

სპეციალურად შედგენილი კითხვარის და კვლევის ომატიკის მეშვეობით შესაძლებელი იქნა განსაზღვრულიყო არაერთი პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება.

ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე გაირკვა რომ:

- 1. სასმელი წყლის მოხმარების თავისებურებები:** სუფთა სასმელი წყლის პრობლემა შედარებით აქტუალურია, ვიდრე საირიგაციო სისტემის გაუმართაობა ან საყოფაცხოვრებო (სასოფლო) მოხმარებისათვის საჭირო წყლის პრობლემა. მოსახლეობა აღნიშნავს, რომ მთავარი პრობლემა, რაც ხელს უშლის სუფთა წყლის მიწოდებას, ეს არის სასმელი წყლის მიღების გაუმართაობა. მასში იგულისხმება ის დაზიანებები, რომელიც გვევდება მთელი სისტემის მანძილზე. საველე კვლევის შედეგად დაფიქსირებულ და გადაღებულ იქნა მრავალი ფოტო, სადაც თვალნათლივ ჩანს სასმელი წყლის მიღების გატეხილი ან გახვრეტილი მონაკვეთები. ამგვარი მონაკვეთებიდან იყარება და ბინძურდება სასმელი წყალი. მოსახლეობა აღნიშნავს წყლის

დაწყვეტის მრავალ ფაქტს, რასაც მიღებში დაგროვილი სხვა-დასხვა სახის ნაგავი განაპირობებს. იგი მიღებში ხვდება როგორც დაზიანებული ადგილებიდან, ისე სათავე ნაგებობიდან. წყლის მიღებში მოხვედრილი ნაგავი განაპირობებს სხვა პრობლემასაც, რაც ინფექციური დაავადებების სახით აისახება სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მიღებში ასევე ხვდება ცოცხალი ორგანიზმების გახრწილი ფრაგმენტებიც, რაც კიდევ უფრო ზრდის ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკს.

სოფლის მოსახლეობა სამართლიანად მიიჩნევს, რომ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ერთადერთი გზით: სასმელი წყლის მიღების შეცვლით (შეკეთებით) და სათავე ნაგებობაში არსებული წყლის პერიოდულ დაქლორვით.

**2. სასმელი წყლის დაბინძურების წყაროები:** სოფელში დაბინძურების ორი ძირითადი წყარო არსებობს: ანთროპოგენული (ადამიანის ჩარევის შედეგად გამოწვეული) და ბუნებრივი (ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამოწვეული). გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ანთროპოგენული დაბინძურება მაქსიმალურია გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში, როდესაც ლაგოდების დაცული ტერიტორიების მოსანახულებლად ჩამოსულია უამრავი დამსვენებელი და ტურისტი. სასმელი წყლის სათავო ნაგებობა მდებარეობს ნაკრძალის ტერიტორიაზე, ტურისტები კი ზაფხულის მცხუნვარე ამინდებში აქტიურად იყენებენ მდინარეს გასაგრილებლად. შედეგად მდინარის წყალი, რომელიც ჩაედინება გამანაწილებელ აუზში, დაბინძურებულია ადამიანის მოქმედების გამო.

ბუნებრივ დაბინძურებაში კი იგულისხმება ის ფაქტი, რომელიც გამოვლინდება ნალექების დიდი რაოდენობით მოსვლისას ან თოვლის ინტენსიური დნობისას. ამ დროს, მდინარე ნინოსხევი დიდდება და გადმოდის კალაპოტიდან, რის გამოც ატივნარებული ნარჩენების და გახრწილის პროდუქტები სასმელი წყლის გამანაწილებელ აუზში ხვ დება.

**3. სათავე ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა:** სათავე ნაგებობა აშენდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში. თავიდან მისი მუშაობა გამართული იყო. დროთა განმავლობაში ნაგებობა დაზიანდა და აუცილებელი გახდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რაც 2011 წელს განხორციელდა. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს, თავიდან იგი გამართულად მუშა-

ობდა და არანაირი პრობლემა არ იქმნებოდა სასმელი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით. დროთა მანძილზე სათაო ნაგებობა ნელ-ნელა ივებოდა მდინარის მიერ ჩამოტანილი ნაშალი მასალით და მცენარეულობის გახრწნის პროდუქტებით. პრაქტიკულად არ ხდებოდა მისი გაწმენდა, რადგან სოლიდურ ხარჯებს საჭიროებდა. სწორედ ამგვარმა ვითარებამ განაპირობა ამჟამინდელი სურათი. დღეისათვის 4 მეტრის სიღრმის სათავე ნაგებობა მთლიანად ამოვსებულია და იგი პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებს. მოსახლეობა იძულებულია შექმნას და გამოიყენოს წყლის მიწოდების ალტერნატიული წყაროები – მათ თავად აქვთ შექმნილი წყლის მიწოდების ინდივიდუალური ქსელი, რის გამოც მოსახლეობისათვის მიწოდებული წყლის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. სოფლის მოსახლეობა ფიქრობს, რომ თუ გამოიყოფა გარკვეული თანხა და გაიწმინდება სათავე ნაგებობა, სასმელი წყლის ხარისხი მნიშვნელოვნად გამოსწორდება. მოსახლეობა ითავისებს იმასაც, რომ სათაო ნაგებობის ერთჯერადი გაწმენდა არ არის საკმარისი, მის სისუფთავეს მუდმივი კონტროლი და გასუფთავება ესაჭიროება.

**4. წყალსადენის ფიზიკური და ეკოლოგიური მდგომარეობა:** მოსახლეობის თქმით რკინის მილები, რომლის მეშვეობითაც მიეწოდებათ სასმელი წყალი, დამონტაჟებულია 1952 წელს. რკინის მილების ფიზიკური მდგომარეობა შეესაბამება მის ასაკს და ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. მასზე აღირიცხება უამრავი დაზიანება, საიდანაც ბინძურდება და იკარგება წყალი, ასევე ეცემა მისი წნევა. მთავარ გამანაწილებელ მილზე ასევე მიერთებულია სხვადასხვა ზომის მილები, რითაც მაცხოვრებლებს სახლებში შეჰყავთ წყალი. მოსახლეობის აზრით, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამ მილების დიამეტრი არ არის რაციონალურად გადანაწილებული ანუ ოჯახებში შეედინება სხვადასხვა რაოდენობის წყალი, რაც უკმაყოფილების მიზეზი ხდება.

წყლის მოხმარების პრობლემას ქმნის მოსახლეობის მიერ მისი უყაირათო მოხმარებაც – უმრავლესობა არ იყენებს ონკანს, წყალი მოშვებულია მუდმივად, რის შედეგადაც სოფლის მოსახლეობის ნაწილი განიცდის მის დეფიციტს.

**5. სარწყავი არხების ფიზიკური მდგომარეობა:** სარწყავი არხები სოფელში არ არსებობს, რის გამოც ზაფხულობით ირიგაციისთვის გამოიყენება სასმელი წყლის მილებიდან აღებული წყლები.

**6. წყლის შეწყვეტის მიზეზები:** ძირითადი მიზეზები, რაც იწყვეს წყლის შეწყვეტას, უკავშირდება როგორც წყალმოვარდნებს და მდინარის წყლის ადიდებას, ასევე სასმელი წყლის მილებში სხვადასხვა ნივთების გაჭედვას და ა.შ.

**7. არსებობს თუ არა წყლის მოხმარების ალტერნატივა:** სოფლებში სასმელი წყლის ალტერნატიული წყარო ის ჰქებია, რომელიც თითქმის ყველა ოჯახს გააჩნია. იმ დროს, როდესაც მდინარე დიდდება და წყლის მილები იბიდნება, მოსახლეობა გადადის ჭის წყლის ინტენსიურ მოხმარებაზე.

**8. დაჭაობებული და შეგუბებული ადგილები:** საველე კვლევის შედეგად, სოფლების ტერიტორიაზე არ შეინიშნება დაჭაობული ადგილები და წყლის შეგუბებები.

**9. ნაგავსაყრელები და მათი გავლენა სასმელი წყლის ხარისხზე:** ნაგავსაყრელები სოფელში არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მათ მდინარის წყლებზე არ აქვთ გავლენა. მოსახლეობა ნაგავს ეზოში უკეთებს კონსერვაციას, ზოგჯერ კი წვავს, რასაც გარკვეული ზიანი მოაქვს გარემოსთვის.

**10. მოსახლეობის დამოკიდებულება წყლის პრობლემების შესაძლო მოგვარებასთან დაკავშირებით:** მოსახლეობის დამოკიდებულება უარყოფითია. მათ პრობლემების გადაჭრის იმედი არ აქვთ, ფიქრობენ თუ რამე გაკეთდება ისიც მხოლოდ მათი სახსრებით.

**11. სასმელ წყალთან დაკავშირებული დაავადებები:** გამოკითხული მოსახლეობის თითქმის 100% ადასტურებს, რომ სასმელი წყლით გამოწვეულ ინფექციურ დაავადებებს არ ჰქონია ადგილი.

## დასკვნა

სოფელ გურგენიანისა და ხიზაბავრის მოსახლეობის გამოკითხვისა და ვითარების ადგილზე გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემები ძირითადად უკავშირდება: 1. სასმელი წყლის მილების ფიზიკურ ცვეთას და მექანიკურ დაზიანებას, 2. სათაო ნაგებობის მწყობრიდან გამოსვლას, 3. დაბინძურებული მდინარის წყლის გამოყენებას.


## სამუშაო ზენერაციაზე საქართველოს და აზერბაიჯანში

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები – საქართველოსა და ბერნის უნივერსიტეტის განვითარებისა და გარემოს დაცვის ცენტრის წარმომადგენლებმა ორგანიზება გაუკეთეს სამუშაო შეხვედრებს ლაგოდეხის რაიონის სოფლებში გურგენიანი და ხიზაბავრა. სამუშაო შეხვედრების ძირითად მიზანს წარმომადგენდა სამიზნე სოფლების მაცხოვრებლების მოსაზრებების გაცნობა წყლის მომარაგების და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით. შეხვედრებში ასევე მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანის ბელაქანისა და ზაქათალას რაიონების მკვიდრები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.



ქართველმა და აზერბაიჯანელმა მოქალაქეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება წყლის მომარაგებისა და სხვა პრობლემების მოგვარების კუთხით. ალსანიშნავია, რომ ეს სოფლები სასაზღვრო ზოლშია განლაგებული და მათი პრობლემები მსგავსია, ასევე მსგავსი მიდგომები დაფიქსირდა პრობლემების მოგვარების სტრატეგიებშიც. როგორც ქართული, ასევე აზერბაიჯანული სოფლები სასმელ წყალს იღებენ მდინარეების ხეობიდან, რისთვისაც იყენებენ ფილტრატის აღების მარტივ ტექნოლოგიას. თუმცა, კონსტრუქციის არასრულყოფილების გამო ხშირია წყვეტა წყლით მომარაგებაში, ადგილი აქვს სასმელი წყლის დაბინძურებას და ა.შ.

შეხვედრების მეორე ნაწილი გაიმართა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ბელაქანისა და ზაქათალას რაიონების სოფლებში ჯარი, სილბანი და პოშტინა. აქაც შეხვედრის მონაწილეებმა ადგილზე მოინახულეს არსებული წყალმომარაგების სისტემები და გაეცნენ ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებებს წყალმომარაგების გაუმჯობესების კუთხით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.



შესვედრების ერთ-ერთ მიზანს ასევე წარმოადგენდა კონკრეტული მცირე პროექტების იდეების იდენტიფიცირება და სამომავლო გეგმების დასახვა მათი შესრულების მიზნით. გურგენიანისა და ხიზაპარას მოსახლეობის მიერ მთავარ პრობლემად დასახელდა სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა, ასევე გამოიკვეთა სეზონური წყალდიდობების გამო სახნავ-სათესი ფართობების დატბორვის პრობლემა, ნარჩენების უტილიზაცია თუმცა, ძირითად პრობლემას მაინც წყლით მომარაგება წარმოადგენს. ამიტომ, მსჯელობა წარიმართა თუ რა შეიძლება გაკეთდეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. სამუშაო ჯგუფმა მოინახულა სათავე ნაგებობა, რეზერვუარი და მიღსადენი, რომლებიც მართლაც სავალალო მდგომარეობაშია.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მახლობლად არსებობს საკალმახე მეურნეობა, რომელიც წყალს იმავე მდინარე ნინოსხევიდან იღებს და საკმაოდ წარმატებულად. სამუშაო ჯგუფი მათ გამოცდილებასაც გაეცნო და დეტალურად შეისწავლა მათ მიერ გამოყენებული კონსტრუქცია.

სამუშაო ჯგუფმა ასევე კონსულტაციები მოაწყო დარგის ექსპერტებთან და მოხდა მოსაზრებების შეჯერება. აღმოჩნდა, რომ სოფლის ზემოთ მდებარეობს რამოდენიმე წყარო, რომელთა დებეტი სავსებით საკმარისია სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის. დამატებით, შესაძლებელია საკალმახე მეურნეობაში გამოყენებული კონსტრუქციის დანერგვა მდინარიდან ფილტრატის მოსაგროვებლად.

შვეიცარიელმა პარტნიორმა, ბერნის უნივერსიტეტის განვითარებისა და გარემოს დაცვის ცენტრმა შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს (FDFA) ფინანსური დახმარებით, დახმარება აღმოუჩინა მსგავსი ტექნიკური პროექტებისათვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის მოპოვებაში. საბოლოოდ გარემოს დაცვის ცენტრმა უზრუნველყო სოფელ გურგენიანის წყლის რეზერვუარის აღდგენისათვის 50%-იანი დაფინანსების მოპოვება. დანარჩენი 50% უზრუნველყოფილ იქნა სოფლის მოსახლეობის მხრიდან თანამონაწილეობის სახით.

## შეოლის სასოფლო პარტიონირობის შეხვედრა გურგანისა და ხიზაბავრის

სამიზნე სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ჩამოყალიბდა წყლის სასოფლო პარტიონობა, რომელშიც გაერთიანდა სასმელი წყლის და სხვა სოციალური პრობლემების მოგვარებით დაინტერესებული მოსახლეობა. 2013 წლის 20 ივლისს გაიმართა ამ პარტიონობის პირველი შეხვედრა. შეხვედრაზე განხილულ იყო სოფლების უსაფრთხო სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა, რომელიც ყოველი წყალდიდობის შემდეგ მწვავედ ახსენებს თავს მოსახლეობას. შეხვედრაზე ასევე განიხილეს მცირე პროექტების შესაძლო თემები. დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა ისეთი სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება საბავშვო ბაღში, რომელიც გააუმჯობესებდა ბაღის აღსაზრდელთა მდგომარეობას და სოფლის მოსახლეობას თვალნათლივ აჩვენებდა სხვადასხვა მარტივი ტექნოლოგიების საშუალებით კომუნალური პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობებს. გადაწყდა: პროექტის ფარგლებში ორივე სოფლის საერთო საბავშვო ბაღში მზის წყლის გამაცხელებლის დამოწავება და ასევე ამორტიზებული ფანჯრების ნაცვლად ენერგო ეფექტური მეტალო-პლასტმასის ფანჯრები ჩაისვა, ხოლო მოსახლეობამ ითავა საბავშვო ბაღისათვის წყლის მიწოდების ორგანიზება და კედლების გაღესვა.



### მცირე პარტიონის განხორციელება

წყლის სასოფლო პარტიონობის მიერ განხორციელდა მცირე პროექტები, რომელთა სამიზნე ობიექტს მოსახლეობის გადაწყვეტილებით წარმოადგენდა სოფლების საერთო საბავშვო ბაღი. ბაღს არ მიეწოდებოდა სასმელი წყალი და შესაბამისად, ჰიგიენის ნორმების დაცვაც გართულებული იყო. მოსახლეობის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით, მოხდა წყლის მიწოდება ბაღისათვის. ასევე საქართველოს მწვანეთა მოძრაობის

სპეციალისტებმა ბაღში დაამონტაჟეს მზის წყლის გამაცხელებელი მოწყობილობა. დამონტაჟების პროცესში ასევე აქტიურად იყვნენ ჩართული ადგილობრივი მაცხოვრებლები. ბაღში მოწყობილი სპეციალური სველი წერტილი ცივი და ცხელი წყლის მიწოდებით, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა სანიტარული მდგომარეობა.

გარდა ამისა, ბაღში გამოიცვალა ძველი ფანჯრები და დამონტაჟდა ენერგო-ეფექტური მეტალო-პლასტმასის ფანჯრები. ყოველივე აღნიშნულის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა ბაღის აღსაზრდელთა მდგომარეობა, შენობა უფრო დათბუნდა და შემცირდა ენერგო-დანახარჯები.



**ბაღის ფანჯრები  
რეაბილიტაციამდე...**



**...და რეაბილიტაციის  
შემდეგ**

დამატებით, შვეიცარული კერძო ფონდის მხარდაჭერით ასევე გაუმჯობესდა წყლის მომარაგების, სანიტარიისა და ენერგომომარაგების მდგომარეობა გურგენიანის საბავშვო ბაღში.



## შემახასხალები საინფორმაციო სამინისტრო

2014 წლის 11-12 ივნისს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები – საქართველოსა და ბერნის უნივერსიტეტის განვითარებისა და გარემოს დაცვის ცენტრის წარმომადგენლებმა ორგანიზება გაუკეთეს საინფორმაციო სემინარს ლაგოდებში. საინფორმაციო სემინარის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ორგანიზაციების მიერ ლაგოდების რაიონის სოფლებში ხიზაბაგრასა და ზემო და ქვემო გურგენიანში განხორციელებული მცირე პროექტების შედეგების წარდგენა დაინტერესებული მხარეებისადმი. შეხვედრაში მონაწილეობნენ ლაგოდების დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები. ასევე შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ პარტნიორი ორგანიზაციები აზერბაიჯანიდან, რომლებმაც თავის მხრივ წარმოადგინეს ინფორმაცია აზერბაიჯანში მათ მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ.



შეხვედრის მონაწილეები ასევე ესტუმრენ სამიზნე საბავშვო ბალს, სადაც მცირე პროექტები განხორციელდა შეეიცარული ფონდის დახმარებითა და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური თანა-მონაწილეობით, რამაც საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან საბავშვო ბალის პრობლემისათვის ყურადღების გამახვილებას.



## ENGLISH SUMMARY

This project within the Swiss Federal Department of Foreign affairs (FDFA) research programme „Environment and Security“ contributes to action research on community water management in Azerbaijan (AZ) and Georgia (GE). This recent research phase (2013 - 2015) is focused on methodological adaptation and institutional development.

Water management receives much attention at the national and international levels (Environmental Action Plans and Helsinki Water Convention), but people in remote rural or mountain regions of Azerbaijan and Georgia feel that their local situation is not sufficiently addressed: „Much is done in Tbilisi and Baku, but what about the water problems in our villages?“

To address this gap the FDFA programme „**Environment and Security**“ with this specific project for the Caucasus South region seeks to support bottom-up approaches on natural resources management – focus water - including local trans-boundary institutional exchange and development. Programme is jointly implemented by the International Hydrological Programme (IHPA) Association of Azerbaijan, the Green Movement of Georgia, and the Centre for Development and Environment (CDE) at University of Bern, Switzerland and partner State Universities of Baku and Tbilisi.

**The overall aim is to foster locally-based environmental cooperation by establishing a sustainable partnership between researchers, villagers, and experts across the border.**

The following **five key steps** exemplify the specific focus of this phase:

1. Adaptation of existing participatory methods and tools to the specific transition context in Azerbaijan and Georgia – focus water domain;
2. Participatory work identifying socio-economic baseline situation and local needs of the population;
  - 2.1 Mobilisation of village community;
  - 2.2 Baseline assessment concerning socio-economic situation of the community;
  - 2.3 Workshop on main issues in the local water domain with the following specific objectives: Identification of local needs – List of possible projects – Priority setting;
3. Institutionalizing transboundary exchange and cooperation in the water domain through the village partnership LABAZA\*; (\*LA: Lagodechi; BA: Belokan; ZA: Zakatala; a specific transboundary region in Western Azerbaijan and Eastern Georgia-Kakheti; approx. surface 60 x 80 km);

4. Implementation of pilot projects, differing between micro „ASAP-projects“, funded by the program budget and larger technical projects, where for possible construction must be identified specific donor organisations (by CDE or partner’s national network);
5. Communication oriented on research and policy dialogue to the capitals Tbilisi and Baku about results achieved in phase I and II, integrating methodological and institutional research and practical implementation of local, village based projects.

The three programme partners consider that research results and micro-projects will further local-level natural resource management. Moreover, they are convinced that re-establishing transboundary cooperation between Azeri and Georgian villages is important and contributes significantly to efforts at the government level.



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის  
მეგობრები - საქართველო

საქართველო, თბილისი, გრ. მუხაძის ქ. №16, 0162



ტელ/ფაქსი: (+995 32) 2306221;

ელ-ფოსტა: info@greens.ge

Web-გვერდი: www.greens.ge

